ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01243033625**
გაცემის თარიღი: **20/11/2024**

ადრესატი: მურმან ჯავახიშვილი
პირადი ნომერი: 01020001612
მისამართი: თბილისი ცოტნე დადიანის ქ. N 34 კორ. 3 ბ. 36

ბატონო მურმან,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა, თქვენი 21.10.2024 წლის №01242952772-67 განცხადება, რომლითაც ითხოვთ სააგენტოს პოზიციას, მიწის ნაკვეთის (ს/კ № 01.13.02.010.114) ნაწილის სერვიტუტით დატვირთვასთან დაკავშირებით.

პასუხად გაცნობებთ, რომ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს, შესაძლებლად მიაჩნია გასცეს დადებითი ქალაქგეგმარებითი პოზიცია, თქვენს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, მიწის ს/კ № 01.13.02.010.114 ნაწილის სერვიტუტით დატვირთვასთან დაკავშირებით.

აქვე გაცნობებთ, რომ კერძო საკუთრებაში არსებული №01.13.02.010.114 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილის სერვიტუტით დატვირთვის მიზანშეწონილობის საკითხი სააგენტომ, წინამდებარე წერილით, განსაზღვრა მხოლოდ ქალაქგეგმარებითი კუთხით. სერვიტუტის უფლების რეგისტრაციის საკითხი რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად.

გადაწყვეტილების გასაჩივრება დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის გადაწყვეტილების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მისამართი: ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

სნ 202052580

საქართველო, თბილისი 0119, ვანის ქ. 3
ელ. ფოსტა: telasi@telasi.ge
ტელ: +995 (32) 277 99 99
www.telasi.ge

N: 0306/092/25

06/03/2025

შპს ,,ქართული ფილმი-უძრავი ქონება"-ს

დირექტორს ბ-ნ მურმან ჯავახიშვილს

25.02.2025 #0225/137/25 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ აღნიშნულ მისამართზე (ს.კ.01.13.02.010.114) ფიქსირდება სს ,,თელასის" კუთვნილი ნვვ-ის საკაბელო ქსელი (2729 - 2730), ასევე მიმდებარედ დგას ს/ქ (2729 და 2730).

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის #366 დადგენილების თანახმად ქვესადგურებისა და გამანაწილებელი პუნქტებისათვის მიმდებარედ შენობა-ნაგებობის მშენებლობის დროს დაცული უნდა იყოს შემდეგი მოთხოვნები:

- ყრუ კედლიდან და შემოღობვებიდან პერიმეტრის გასწვრივ - 2მ (მუხლი 3, პუნქტი გ.ა).

- ღიობიანი კედლის შემთხვევაში პერიმეტრის გასწვრივ - 4მ (მუხლი 3, პუნქტი გ.ბ).

-მთავარი მისასვლელი გზის მონაკვეთი - სიგანით არანაკლებ 3 მეტრისა (მუხლი 3, პუნქტი გ.გ).

მიწის ნაკვეთს (ს.კ.01.13.02.010.114) კვეთს სს ,,თელასის" კუთვნილი ნვვ-ის საკაბელო ელ.გადამცემი ხაზი.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბერის #366 დადგენილებ-ის ,,ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ (მუხლი 3, პუნქტი ბ) თანახმად საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზებისათვის დაცული უნდა იყოს შემდეგი ნორმები :

ბ.ა) მიწისქვეშა საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზის გასწვრივ მიწის ნაკვეთი, შემოსაზღვრული ვერტიკალური სიბრტყეებით, რომლებიც ხაზის ორივე მხარეს განაპირა კაბელებიდან დაშორებულია შემდეგი მანძილით:

ბ.ა.ა) 1 კვ-ის ზევით - 1 მეტრი ორივე მხრიდან;

ბ.ა.ბ) 1 კვ-მდე - 1 მეტრი ორივე მხრიდან; თუ საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზი გადის დასახლებათა ტროტუარების ქვეშ, მაშინ - 0,6 მეტრი შენობა-ნაგებობის მხარეს და 1 მეტრი ქუჩის სავალი ნაწილის მხარეს;

ნაკვეთზე გამავალი მიწისქვეშა საკაბელო ქსელი დატვირთულია სერვიტუტით.

სს „თელასი" არ არის წინააღმდეგი სამუშაოების წარმოების, თუ დაცული იქნება ზემოთ აღნიშნული ნორმები.



სს „თელასის“ გენერალური
დირექტორი ს. კობცევი

შემს.შრომის დაცვისა და სახანძრო უსაფრთხოების
სამსახურის უფროსის მ.შ. გ. პატარქალიშვილი
ტელ. 2 77 99 99 1(7959)

სნ 202052580

საქართველო, თბილისი 0119, ვანის ქ. 3
ელ. ფოსტა: telasi@telasi.ge
ტელ: +995 (32) 277 99 99
www.telasi.ge

N: 0325/344/25


25/03/2025

შპს ,,ქართული ფილმი-უძრავი ქონება"-ს
დირექტორს ბ-ნ მურმან ჯავახიშვილს

24.03.2025 #0324/089/25 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილი პროექტი (გენ.გეგმა ს.კ.01.13.02.010.114) დღევანდელი მდგომარეობით შეესაბამება ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესებსა და ზონებს (საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის #366 დადგენილება, დანართი ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესი და მათი დაცვის ზონები).

სს ,,თელასის" გენერალური
დირექტორი ს. კობცევი

შემს.შრომის დაცვისა და სახანძრო უსაფრთხოების
სამსახურის უფროსის მ.შ. გ. პატარქალიშვილი
ტელ. 2 77 99 99 1(7959)



წარმოდგენილი პროექტი შეესაბამება
ელექტრული ქსელების სანიტარიული
ნაკლოვანების დაცვის წესებსა და ნორმებს
შეთანხმების თარიღი 25.03.25
შეთანხმებულია

საპროექტო არეალი